დანართი №2

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვალერი ჯაჯანიძე

წევრები: ზაალ ხელაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **406290954**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 06 მაისის №533147 (ცვლილება 19/05/2026 წ. №591785) ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ზაალ ხელაძე - წევრი, დაევალა ქ. თბილისში, შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი" - ს მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი" - ს მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2026 წლის 03 ივნისს განახორციელა ვიზიტი, ქ. თბილისში, მისამართზე ანა პოლიტკოვსკაიას N14, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალით(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ გამოვლენილა

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილის დატრენინგება, პროფესიულ განათლებაში სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით;
2.4.2.1 განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია შეფასების სისტემის ვალიდაციის მართვის ერთი ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტის დამუშავება;
2.4.2.2 განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოახდინოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მართვის ერთი ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტის დამუშავება.

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 15 ივლისს ექსპერტთა ჯგუფთან წარმოდგენილი იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის ამსახველი წერილი, რომლის თანახმადაც პსდ იზიარებს ექსპერტების პოზიციას და ეთანხმება დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია განახლებადი ენერგიების მენეჯმენტში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დაწესებულების დირექტორის 2026 წლის 14 აპრილის №260414 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ანა პოლიტკოვსკაიას N14, მე-4 სართული, თბილისი, 0186, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №2406/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ მიხედვით, განსაზღვრულია კოლეჯის მიერ ახალი პროფესიული პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დგინდება, რომ კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება შეიძლება მოხდეს კოლეჯის საზოგადოების წევრის (წევრთა) მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, საინიციატივო ჯგუფის მიერ, ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის და/ან დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი. პროგრამის დამატების შესახებ ინიცირების შემდეგ, კოლეჯის დირექტორის მიერ მტკიცდება დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პროგრამის განხორციელებით დაინტერესებული მხარეების განსაზღვრას, შრომის ბაზრის მოთხოვნების, პროგრამის მოთხოვნადობის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების კვლევას. ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოს ანგარიში წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც თავის მხრივ მიიღებს გადაწყვეტილებას პროგრამის დამატების და პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ. კოლეჯი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურების შესაბამისი მტკიცებულებების არსებობა, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ინიცირების, სამუშაო ჯგუფის შექმნის, ჯგუფის ანგარიშის და შესაბამისი გადაწყვეტილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" თვითშეფასების ფორმაში არსებული მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი გვაძლევს სრულ სურათს პროგრამის განხორციელების საჭიროების შესახებ, აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კვლევების ანალიზის შედეგები, კერძოდ კოლეჯის მიერ განხორციელებულია ,,ევროკავშირის „მწვანე შეთანხმების" (Green Deal) ანგარიშების", ,,საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს (IEA) კვლევების" ანალიზი, წარმოდგენილია საქართველოში მოქმედი დასაქმების პორტალებზე Jobs.ge, hr.ge და LinkedIn-ის მონაცემების ანალიზი - ენერგეტიკის სფეროს ვაკანტური ადგილების რაოდენობრივი მაჩვენებლები; გაანალიზებულია დარგობრივი ასოციაციების ანგარიშები. კოლეჯის მიერ განხორციელებულია წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის ფარგლებში შრომის ბაზრის შიდა მოკვლევის ანგარიში, სადაც გაკეთებულია პროგნოზი 2025-2030 წლებში შესაძლო სამუშაო ადგილების რაოდენობის შესახებ, რაც წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეადგენს მაქსიმუმ 6900 ადგილს.

პსდ-ს გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" განხორციელებასთან დაკავშირებით შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, კერძოდ დაწესებულების მისიაა „შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის" მისიაა მოამზადოს თანამედროვე პროფესიული და ტრანსვერსალური კომპეტენციების მქონე, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული, კონკურენტუნარიანი და პასუხისმგებლიანი სპეციალისტები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის უსაფრთხოების კულტურის დამკვიდრებას, გარემოს დაცვას, ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოების მდგრად პროგრესს.". კოლეჯის გადაწყვეტილება წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებისა და განხორციელების შესახებ ეფუძნება პსდ-ს დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის №26011/01 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ სტრატეგიულ მიზანს, რაც თავის მხრივ განმტკიცებულია მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 25/11/2024 წლის №101 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება", თავი II. ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირება, რეგისტრაცია, შერჩევის პროცედურები, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბება და სხვა. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მოქმედი რეგულაცია მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ დაშვების წინაპირობები განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი/Renewable Energy Management“ (სარეგ. №07.7.1) საფუძველზე, აღნიშნული სტანდარტის მიხედვით დაშვების წინაპირობაა 1. ესაა სრული ზოგადი განათლება, 2. ასაკი არანაკლებ 18 წელი. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტით კი დაშვების წინაპირობა იყო მხოლოდ ,,სრული ზოგადი განათლება“, რაც წარმოადგენდა ტექნიკური ხასიათის პრობლემას, დაწესებულებამ განმარტა, რომ დოკუმენტის pdf ფორმატში გადაყვანისას გაიპარა აღნიშნული უზუსტობა, კერძოდ რამდენიმე გრაფა დაიმალა, დაწესებულებამ უზრუნველყო აღნიშნული პრობლემის ვიზიტის მსვლელობისას გამოსწორება.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრში მოქმედებს დაწესებულების მიერ შემუშავებული რეგულაცია ,,პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება“. წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე განისაზღვრება პროგრამის განხორციელების მიდგომისა და სპეციფიკის გათვალისწინებით საჭირო მატერიალური და ადამიანურ რესურსი, სასწავლო გარემოთა ტიპი და ოდენობა, ასევე დღიური სასწავლო დროის ფონდი და ცვლების რაოდენობა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ განხორციელების მიზნით კოლეჯის მიერ წარმოდგენილ იქნა დოკუმენტი ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“, აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 90 პროფესიული სტუდენტი. პსდ-ს წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აქვს ერთი სალექციო აუდიტორია - A გარემო, 30 პროფესიულ სტუდენტზე, ერთი კომპ. კლასი - B სასწავლო გარემო, 26 პროფესიულ სტუდენტზე. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გარდა საკუთარი შესაძლებლობებისა, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან, მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ მიღება იგეგმება 30-30-30 პროფესიულ სტუდენტზე, სამ ცვლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის უზრუნველყოფით. კოლეჯმა წარმოადგინა პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმები და სწავლების დროის განაწილების მოდელი.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილი პირი განისაზღვრება შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №2406/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია" საფუძველზე, აღნიშნული უფლებამოსილება აქვს კოლეჯის დირექტორს.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 14/04/2026 წლის №260414 ბრძანებით.

ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაა ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი", გამომდინარეობს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებიდან, აღნიშნული სახელწოდება სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და მისაღწევ სწავლის შედეგებთან, შესაბამისად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" არ არის შეცდომაში შემყვანი.

ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" დამუშავებულია ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ 05/06/2024 წლის №626933 (ცვლილება 15/07/2025 №873258) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 32 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ კოლეჯის მისია;
- სსიპ კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია";
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება";
- განაცხადის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ განსაზღვრულია 90 პროფესიული სტუდენტით. კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულება ,,ერთი მიღების ფარგლებში მიიღებს 90 სტუდენტს“ და სასწავლო პროცესი განხორციელდება დღეში სამი ცვლის არსებობით. კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლო გარემო, გაეცნო დოკუმენტაციას და გაესაუბრა პროფესიული პროგრამის განმახორციელებლებს. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა კოლეჯის მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი AC სასწავლო გარემო, შეფასებისას დადგინდა, რომ აღჭურვილობა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით და მისი მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, AC სასწავლო გარემოში წარმოდგენილია მულტიმეტრი, მკვნეტარები, სადენის სათლელები, ბრტყელტუჩები, ქანჩის გასაღებები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანართით განსაზღვრული სხვა დამხმარე მოწყობილობა და ინვენტარი. ამავე სასწავლო გარემოში უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მასწავლებლის და სტუდენტების სამუშაო მაგიდები და სკამები, მასწავლებლის კომპიუტერი და დემონსტრირების ციფრული საშუალება. გარდა დაწესებულების საკუთრებაში არსებული რესურსისა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა დაგეგმილია პარტნიორი ორგანიზაცის საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსით, ამ მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება კომპანიებთან: შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია; შპს „ფოტომეიტ ევრაზია“. წარმოდგენილი პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაშია ელექტრული ენერგიის წარმოების სტანდარტული ტრადიციული და არატრადიციული სისტემები, ტურბინები, გენერატორები, ტრანსფორმატორები, საკონტროლო სისტემები, კაშხალი წყალმიმღები, წყალსაშვი, საკეტი, მზის პანელები (PV მოდულები), ინვერტორები, სამონტაჟო კონსტრუქციები, ტრანსფორმატორები, მონიტორინგის სისტემები, ელექტროგადამცემი ხაზები და პროგრამის დანართით განსაზღვრული სხვა მოწყობილობა-დანადგარები. თითოეული ორგანიზაცია შეძლებს ჯამში 90 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო ერთჯერადად 30 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 90 პროფესიული სტუდენტით ერთ მიღებაზე, სამ ცვლაში.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2 პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

კოლეჯი „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეული არიან დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის ,,პერსონალის მართვის პოლიტიკა“ მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 16.09.2026 წლის №2406/123 ბრძანების საფუძველზე.

პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს ჯამში 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან:

- 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

კოლეჯს მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული ჰყავს პროფესიული მოდულების მინიმუმ ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის პროგრამის უწყვეტობის გარანტიას.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ, ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს. კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დანართის სახით მოყვება აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია.

3 პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ენერგო სფეროში/დარგის შესაბამისი მოდულების განხორციელების სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; წარმოდგენილი მასალები ადასტურებენ, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც შესაბამის თეორიულ ცოდნას, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

პირადი საქმეების შესწავლისა და გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელთა უმეტესობა ფლობს პროფესიული განათლების მიმართულებით განვითარებისა და გადამზადების კურსების გავლის დამადასტურებელ დოკუმენტებს, ამავდროულად პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული იქნება პერსონალი, რომელთაც უშუალოდ პროფესიული განათლების მიმართულებით ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ გააჩნიათ, მაგრამ აქვთ მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების და უმაღლესი საფეხურის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების განხორციელების დიდი გამოცდილება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარება და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას, მაგრამ ამავდროულად მიზანშეწონილი იქნება იმ განმახორციელებლებისთვის, რომლებთაც არ აქვთ უშუალოდ პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლების /პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლება-შეფასების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი, ცნობა და სხვა), სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფესიული განათლების მიმართულებით სწავლა-სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემის საკითხებში დაიგეგმოს და განხორციელდეს შესაბამისი მოკლევადიანი ტრენინგი.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებამდე განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებელთა ნაწილის დატრენინგება, პროფესიულ განათლებაში სწავლებისა და შეფასების მეთოდების მიმართულებით.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4 საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსზე, ხარისხზე, განხორციელებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უძღვება პროგრამის შემუშავებასა და მისი განვითარების პროცესებს. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით/პრაქტიკული გამოცდილებით.
ვიზიტის დროს გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც დამტკიცებულია შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი"-ის კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 16 მარტის №260316/02 ბრძანების საფუძველზე, აქვე განსაზღვრულია მისი ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტით.
ინტერვიუირების პროცესში ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. მონაწილეობა აქვს მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევასა და მატერიალური რესურსების მობილიზებაში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია.

5 საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა კოლეჯის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა, როგორც მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.
პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, კოლეჯის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.
ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკაში. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.
კოლეჯის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.
დაწესებულების ვებ-გვერდზე არსებული ჩანართი ,,ბიბლიოთეკა" საშუალებას იძლევა დისტანციურად ნებისმიერი ადგილიდან იქნას მოძიებული საჭირო სასწავლო რესურსი (სახელმძღვანელო).
ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის არსებობა და ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტისთვის, როგორც ელექტრონული ისე ბეჭდური სახით, ასევე გადამოწმდა ამობეჭდვის შესაძლებლობა და მზაობაც, შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია მატერიალური ან/და ელექტრონული სახით და გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6 სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის AC ტიპის სასწავლო გარემო უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობაში მოქმედებს ლიფტი, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. კოლეჯში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

დაწესებულების განმარტებით მათ არ ჰყოლიათ სსსმ პირი და საჭიროების შემთხვევაში მოახდენენ სასწავლო რესურსის ადაპტირებას და მთელი რიგი აქტივობების განხორციელებას, რაც გაწერილია კოლეჯის დირექტორის 25/11/2024 წლის №101 ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციაში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“ მუხლი 24. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფა. კოლეჯს აქვს მზაობა მათ მისაღებად. სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მათთვის სასწავლო პროცესი წარიმართება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ამ ეტაპზე პროგრამაზე სსსმ პირები არ ირიცხებიან.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის AC ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია.

7 პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია სწავლის საფასურზე, რომლის მოცულობა განსაზღვრულია კოლეჯის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- მასწავლებლის შრომის ანაზღაურება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო მიზნით გაწეული ხარჯი;
- ადმინისტრირების ხარჯი;
- კომუნალური მომსახურების ხარჯი;

ანალიზის მიხედვით, „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ პროგრამის რენტაბელობის ზღვარად მიჩნეულია მინიმუმ 45 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე. ბიუჯეტი ასახავს კოლეჯის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- პარტნიორი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური და ხარისხობრივი შეფასება;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;
- პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებაში პროგრამის შეფასება ხორციელდება შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №2406/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით მიღებული შედეგების შეფასების ანალიზს, კერძოდ: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა/პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;

გასაუბრებების და წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ატარებს პერიოდულ კვლევებს, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტების შეფასებებს. მიმდინარე ეტაპზე კოლეჯის მიერ წარმოდგენილი იქნა მოქმედი (ავტორიზებული) პროგრამის ფარგლებში, მხოლოდ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვლევის შედეგები, რამდენადაც კოლეჯს ჯერჯერობით არ ყავს კურსდამთავრებული შესაბამისად არ შესრულებულა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა პროგრამასთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში არსებული რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა და/ან გაუქმება ხორციელდება დაწესებულებაში პროგრამის შეფასება ხორციელდება შპს უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრის დირექტორის 2024 წლის 19 ივნისის №2406/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ შესაბამისად. რეგულაციის თანახმად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება შეიძლება განხორციელდეს, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროფესიულ სტანდარტში განხორციელებული ცვლილებების, პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგების და/ან სხვა გარემოებების საფუძველზე. საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაში ნებისმიერი ტიპის ცვლილების შეტანა და დამტკიცება ხდება დირექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.
კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს პროგრამაში ცვლილების განხორციელების პრაქტიკა, თუმცა აქვს მზაობა საჭიროების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად. კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ სწავლების გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც დაგროვდება გამოცდილება, საჭიროების შესაბამისად, განხორციელდება ცვლილებები.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები;
- „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა საავტორიზაციოდ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ 3 განსხვავებული სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ სასწავლო გეგმა ასახავს მოდულების თანმიმდევრობას, განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს და უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას. გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის მოდული.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ სასწავლო გეგმები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. თითოეული გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

დაწესებულების მიერ გარდა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმისა წარმოდგენილ იქნა კოლეჯში მოქმედი ავტორიზებული პროგრამის შემთხვევითი პრინციპის საფუძველზე შერჩეული მოდულების კალენდარული გეგმები, რაც ადასტურებს პსდ-ში არსებულ პრაქტიკას იმის შესახებ, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობისას სრული მოცულობით გამოიყენება დაგეგმვის პრაქტიკა.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება დირექტორის 25/11/2024 წლის №101 ბრძანებით დამტკიცებული რეგულაციის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“ საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს: პროფესიული სტუდენტის უფლება/მოვალეობებს, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს, მობილობის განხორციელების პირობებს, მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს, პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ მათ აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გაითვალისწინონ პროფესიულ სტუდენტთა ინტერესები. სასწავლო გეგმით განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა, ხოლო პროგრამითა და მოდულებით მისაღწევი შედეგები, რომელსაც უნდა ფლობდეს პროფესიული სტუდენტი პროგრამის დამთავრებისას. თუმცა, თუ ფორს-მაჟორული სიტუაცია დადგება ან სხვა მნიშვნელოვანი მიზეზით ვერ მოხერხდება სასწავლო გეგმის დაცვა, ისისნი მოქნილად, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით მოახდენენ რეაგირებს მსგავს გარემოებებზე, როგორც ჯგუფებისთვის, ისე ინდივიდუალურ გამოწვევებზე. კერძოდ, ეს შეიძლება გამოიხატოს სასწავლო გეგმის ცვლილებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კოლეჯის უზრუნველყოფს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი" სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. კოლეჯის და პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოსაყენებელი სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს თუ: სსსმ პირი, სწავლობს საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მობილობით გადმოსულია პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან ან პროფესიული სტუდენტი საკუთარი განცხადებით ითხოვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, რადგან ვერ აღწევს სწავლის შედეგებს, პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას. ინდ/გეგმების შედგენის საჭიროების შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელშიც შედის სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნას სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, რომლებიც სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია.

ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების საკუთრებაში არსებული, ისე პარტნიორი ორგანიზაცის საკუთრებაში მყოფი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებით, ამ მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება კომპანიებთან:

- შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია, მის. ქ. თბილისი, პეკინის გამზირი N34ა, ყაზბეგის გამზირი N2ა, თანამშრომლობის ხელშეკრულება №39, 02/06/2026 წ.;
- შპს „ფოტომეიტ ევრაზია“, მის. ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N17ა, თანამშრომლობის ხელშეკრულება №260424/01, 24/04/2026 წ..

წარმოდგენილი ხელშეკრულების შესაბამისად თითოეული ორგანიზაცია შეძლებს ჯამში 90 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო ერთჯერადად 30 პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკული კომპონენტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფას, ხელშეკრულებით განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზების ზოგადი საკითხები, სტუდენტთა უფლება-მოვალეობები, პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში და შემდგომში სასწავლო პროცესში გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის ნუსხა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და პროფესიული სტუდენტების სწავლების მიზნით საკუთარი რესურსების გამოყოფის მზაობა, კერძოდ მოხდა ვიზუალური დათვალიერება/შეფასება და გასაუბრება დაწესებულების წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები შესაბამისობაში მოდის დაწესებულების მიერ მოცემულ პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან.

ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „განახლებადი ენერგიების მენეჯმენტი“ ფარგლებში ,,შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება პროგრამის განმახორციელებლებისთვისა და პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო გაცნობა/ინსტრუქტაჟი სავალდებულოდ განხორციელდება.

ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგებით;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა“
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“
- „პროფესიულ სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

შეფასების სისტემის გამართული და ეფექტიანი მუშაობის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც არ მოდიან წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით საჭირო ხდება, ყველა რეგულაციის მოქმედებაში მოყვანა, კერძოდ შეფასების სისტემის ვალიდაციის პროცედურა მოცემულია დაწესებულების დირექტორის 15/12/2025 წლის №251215/01 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“-ს კოლეჯის ,,შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცედურა“ და 2024 წლის 07 აგვისტოს №2408/111 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“. ორივე დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ დაწესებულებაში შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ა) ვალიდურობას; ბ) სანდოობას; გ) გამჭვირვალობას; დ) სამართლიანობას; ე) ობიექტურობას. გარდა ვალიდაციის პროცედურისა „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას, შეფასების ჩატარების სტანდარტულ პროცედურას, დაკვირვების გარეშე პრაქტიკული დავალების შესრულების სტანდარტულ პროცედურას, სწავლის შედეგის განმეორებით დადასტურების (განმეორებითი შეფასება) პროცედურას, შეფასების პროცესის აკომოდაციას ან სტანდარტული პროცედურის ცვლილებას. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს.

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში კოლეჯმა წარმოადგინა ავტორიზებული სტატუსის მქონე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები“ განხორციელების პროცესში შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკა, კერძოდ შეფასების ინსტრუმენტები და მისი ვალიდაციის ამსახველი დოკუმენტაცია, არსებული პრაქტიკა სრულად შესაბამისობაშია პსდ-ში მოქმედ რეგულაციასთან. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მიზანშეწონილი იქნება შეფასების პროცესისა და სისტემის ოპტიმალური დაგეგმვისა და აღსრულების მიზნით დაწესებულებამ მოახდინოს მოქმედი რამოდენიმე რეგულაციის ოპტიმიზაცია ერთ დოკუმენტად, რაც შესაძლებლობას მისცემს უფრო მარტივი და მოქნილი გახდეს შეფასებასთან დაკავშირებული პროცესების მართვა.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია შეფასების სისტემის ვალიდაციის მართვის ერთი ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტის დამუშავება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურის წარმართვის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც არ მოდიან წინააღმდეგობაში ერთმანეთთან, მაგრამ ამავე დროს შეფასების სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით საჭირო ხდება, ყველა რეგულაციის მოქმედებაში მოყვანა, კერძოდ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცედურა მოცემულია დაწესებულების დირექტორის 25/11/2024 წლის №101 ბრძანებით დამტკიცებულ რეგულაციაში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“, დირექტორის 25/01/2026 წლის №260125/01 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში შპს „ვერიფიკაციის წესი და პროცედურები“ და 2024 წლის 07 აგვისტოს №2408/111 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“. ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომელიც ხორციელდება სამი მიმართულებით:

ა) შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. კოლეჯს შემუშავებული აქვს რისკების სისტემა, რომლის მეშვეობითაც გამოავლენს რისკ-ფაქტორებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის ორგანიზებით ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ. საბოლოო დასკვნა რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება დაწესებულების ხელმძღვანელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით მიზანშეწონილი იქნება შეფასების სისტემის ოპტიმალურად ფუნქციონირების მიზნით დაწესებულებამ მოახდინოს მოქმედი რამოდენიმე რეგულაციის ოპტიმიზაცია ერთ დოკუმენტად, რაც შესაძლებლობას მისცემს უფრო მარტივი და მოქნილი გახდეს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების მართვა.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია დაწესებულებამ მოახდინოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მართვის ერთი ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტის დამუშავება.

ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვა/შენახვას კოლეჯი უზრუნველყოფს დაწესებულებაში მოქმედი ორი რეგულაციის - დირექტორის 2024 წლის 07 აგვისტოს №2408/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ და 2026 წლის 23 აპრილის №260423 ბრძანებით დამტკიცებული ,,შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის, შენახვისა და არქივირების წესი“ - ს საფუძველზე, წარმოდგენილი დოკუმენტები განსაზღვრავენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვის პროცედურებს, აღნიშნული რეგულაციების მიხედვით შეფასების მტკიცებულებები/სტუდენტთა პორტფოლიოები დაცულია უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი უწყისები - უვადოდ.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით და არსებული პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ახორციელებს მტკიცებულებების აღრიცხვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

დირექტორის 2024 წლის 07 აგვისტოს №2408/111 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“ განსაზღვრავს სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენების შესაძლებლობას, კერძოდ პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და იყენებს მათ პროგრამის შემდგომი განვითარებისა და სწავლების ხარისხის მონიტორინგის.

პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური კონსულტირების გზით, პროფესიული განათლების მასწავლებელი აცნობს თავის მოსაზრებებს და სტუდენტთან ერთად ეძებს გზებს სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. პიროვნული თავისებურებებიდან და ინტელექტუალუტი შესაძლებლობებიდან გამომდინარე განსხვავებულია მიდგომაც.

ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცედურა“;
- „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“;
- „ვერიფიკაციის წესი და პროცედურები“;
- არსებული პრაქტიკის შეფასების შედეგები;
- ,,შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის, შენახვისა და არქივირების წესი“;
- ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

08.07.2026
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: